ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4106842

ნომერი: AR1620977

თარიღი : 03.08.2018

გაცემის თარიღი : 07.08.2018

გაცნობის თარიღი : 07.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავითაშვილი , N 35;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კურცხალია პ/ნ 01017013507
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 3 ბ. 16

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : # 3113153
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 23.02.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 3 აგვისტოს AR1620977 განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა :

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის განჩინებით (საქმე N3ბ/1982-17) თეონა ბაღდავაძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და შეჩერდა ქ. თბილისის მერის 2013 წლის 22 თებერვლის N283 განკარგულებისა და სამსახურის 2017 წლის 23 თებერვლის №3113153 ბრძანების მოქმედება. აღნიშნულის შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 აპრილის განჩინებით (საქმე N3/3130-17) საქმის წარმოება შეწყდა, თუმცა სააპელაციო სასამართლოს განჩინება აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ გაუქმებულა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა გაუქმედეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე და წარმოდგენილ იქნეს აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.
- რადგან "ე-ა" , "1-6" და "6-1" ფასადზე შეცვლილია რელიეფის დონე, ასევე "6-1" ფასადზე შემცირებულია კიბის საფეხურების რაოდენობა და მდებარეობა საჭიროა წარმოადგინოთ არქიტექტურული ნახაზი აღნიშნული მდგომარეობის ასახვით ზომების და ნიშნულების მითითებით;
- რადგან შენობის პერიმეტრზე შეცვლილია კოლონის გაბარიტები და ასევე პერიმეტრზე მოწყობილია მონოლითური კედელი საჭიროა წარმოადგინოთ კონსტრუქციული ნახაზები და კონსტრუქტორის პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით; ასევე კოლონების გაბარიტების ცვლილება უნდა აისახოს არქიტექტურულ ნახაზებში; სამსახური დაუბრუნდება საკითხის განხილვას სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი AR1620977 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.